პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წლიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

11 სექტემბერი
კვირა

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.— 2ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა და გავრცელება სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— დღეს დიდუბეში მოხდა [illegible] ელიკო მეღლაძის დასაფლავება.

— მთავრობამ გამოსცა დეკრეტი [illegible] პროდუქტებზე, ხორცსა და ბოსტნეულზე ნატურალურ გადასახადის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 158 კვირა, 11 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი კვირა, 11 სექტემბერი, 1921 წ. № 158

საბჭოთა რესპუბლიკას სჭირდება მძლეთამძლე წითელი არმია. ამ არმიას უნდა ხელმძღვანელობდნენ თავისი წითელი კამანდირები. მუშებო და გლეხებო გაეშურეთ კომანდირების კურსებზე! ისწავლეთ მტრის დამარცხება! გაუმარჯოს წითელ არმიას! გაუმარჯოს წითელ კამანდირებს!

ჩვენი ნაციონალური პოლიტიკა

დღეს ყველასათვის აშკარაა ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული დემოკრატიის სრული და საბოლოო გაკოტრება ნაციონალური საკითხის გადაწყვეტაში. ბურჟუაზიული საზოგადოება დაყრდნობილია კერძო საკუთრებაზე, ის ყველა საკითხს ზომავს და სწყვეტს თავის კლასიური ინტერესების მიხედვით. და ამიტომ ერთა შორის თანხმობისა, ძმობისა და სოლიდარობის ნაცვლად ის ამეფებს ყველგან მხეცურ ქიშპობას, შუღლვარებას და ტლანქ ჩაგვრა-ძალადობას. ნაციონალური საკითხის გადაჭრა მშრომელი კაცობრიობის ინტერესების მიხედვით ისტორიამ დააკისრა თვით მშრომელთ, მათ კლასობრივ პარტიას. პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება და ამ დიქტატურის მატარებელი საბჭოთა წყობილების დამყარება ძირითადი პირობაა დღეს ნაციონალურ ჩაგვრის მოსპობის, ერთა შორის ჭეშმარიტი თანასწორობის გამეფების და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფის. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში ნაციონალური საკითხი თითქმის ამოშლილია ცხოვრების ფურცლებიდან. საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღიარებამ ერთა უფლებისა სრულიად ჩამოშორებაზე და ცალკე სახელმწიფოების დაარსებაზე ძირითადად შესცვალა რუსეთის ერთა მშრომელ მასსების დამოკიდებულებანი ურთიერთისადმი, ძირფესვიანად ამოაგდო წინანდელი ეროვნული შუღლი, შეუძლებელი გახადა ეროვნული ჩაგვრა, მოუპოვა რუსეთის მშრომელთ ნდობა მოძმეთა შორის არა მარტო თვით რუსეთში, ევროპასა და აზიაშიც. მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის სხივებში შეიქნა შესაძლებელი კავკასიის მთიელების და რუსების ძმური და რევოლიუციონური თანამშრომლობა უწინდელი შეურიგებელი მტრობის მაგიერ; მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში სომეხ-თათართა ურთიერთ ხოცვა-ჟლეტამ ადგილი დაუთმო მათ შორის თანხმობას და ერთად, ერთი და იგივე მიზნებისათვის ბრძოლას.

ბურჟუაზიის და ბურჟუაზიული დემოკრატიის ბატონობა მომასწავებელია ხალხთა შორის დაუსრულებელი შუღლის, მტრობის, სიძულვილის და პოგრომების.

საბჭოთა ხელისუფლება, პროლეტარული დემოკრატია კი მომასწავებელია ხალხთა შერიგების, ეროვნული შუღლის, ეროვნული ჩაგვრის მოსპობის და სოლიდარობის განმტკიცების.

როგორ გავატარეთ ჩვენ საქართველოს სინამდვილეში პროლეტარიატის ნაციონალური პოლიტიკის ძირითადი პრინციპი? შევსძელით თუ არა მშვიდობიანობის, სოლიდარობის და თანამშრომლობის დამყარება იქ, სადაც სამი წლის განმავლობაში ქართველ მენშევიკები და ყველა მათი მაჩანჩალა ნაციონალისტები აჩაღებდენ და გააჩაღეს კიდეც ალვირწაგდებული შოვინიზმი, კაციჭამიობა, დაუსრულებელი ომიანობა, მუხრუჭი და მათრახების თქლაშუნი?

ვერავინ უარჰყოფს, რომ თუ დღეს საქართველო წარმოადგენს მშვიდობიანობით მოცულ მხარეს, რომ თუ აქ დაწყნარებულია ეროვნული შუღლი და ნაციონალური ქიშპობის ტალღები აღარ გორავენ და აღარ ეხეთქებიან ერთმანეთს, ეს შედეგია საბჭოთა გადატრიალების, საბჭოთა ხელისუფლების კომუნისტური პოლიტიკის.

როდესაც აფხაზეთმა საბჭოთა სისტემის შემოღებასთან ერთად დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ბევრმა ბრძენმა „სოციალისტმა“ თავში მუშტი დაიშინა—ეს რა საარაკო თავხედობაა! ნაციონალისტური პოლიტიკის ემბაზში ამოვლებულთ, მათ ვერ შეეგნოთ, რომ საბჭოთა წყობილება ნიშნავს ერთა თავისუფლებასაც, რომ კომუნიზმი ხელს უწყობს და ისტორიის არქივიდან აღორძინების მოედანზე იწვევს მივიწყებულ და თითქო სამუდამოთ განწირულ ერებს და ტომებს. ჩვენმა აფხაზ ამხანაგებმა აიღეს სწორი კომუნისტური პოლიტიკის გეზი. საქართველოს რევოლიუც. კომიტეტმა მოიწონა მათი ნაბიჯი. და არ გასულა ნახევარი წელიწადიც კი, და აფხაზეთის ხალხში გაჰქრა ის უნდობლობა და თითქმის სიძულვილიც კი, რაიც ნაყოფი იყო ქართველ მენშევიკების ჟანდარმული რეჟიმის. აფხაზეთის შოვინისტებს ნიადაგი გამოეცალათ, ხალხის ფართო მასსებში ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ფეხი მოიკიდა საბჭოთა საქართველოსადმი სიმპატიამ და დღეს თუ ხვალ აფხაზეთის მშრომელი ხალხი ისევ დაბრუნდება საბჭოთა საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომიის თუ ფედერაციის საფუძველზე.

მეორე მტკივანი, ჩირქჩამდგარი ადგილი მენშევიკურ საქართველოში იყო აჭარა. „დემოკრატიის“ მემათრახეებმა საკმაოდ იმუშავეს აქ და საქართველოს სახელიც კი შეაძულეს აჭარის გლეხობას. ძალა-უნებურათ მან სამხრეთისაკენ დაიწყო ცქერა. მარა საბჭოთა საქართველოს მთავრობამ აჭარას გაუხსნა გზა თავისუფლებისკენ, მიანიჭა აჭარის მშრომელთ ფართო ავტონომია მიუხედავათ მდგომარეობის სირთულისა და საერთო პოლიტიკურ გაურკვევლობისა აჭარის მშრომელმა მასსამ მყისვე აუღო ალღო ისტორიულ მომენტს, სათანადოთ დააფასა საბჭოთა წყობილების სიკეთე და დღეს ის იყურება საბჭოთა საქართველოსაკენ, ებრძვის თავის ბეგებს და თავადებს, თავის ბედს უკავშირებს [illegible] ჩვენ საქართველოს მშრომელთა ბედს. ურთულესი ამოცანის ასე იოლად გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მშრომელთა დიქტატურას, კომუნისტურ პოლიტიკას.

ვინ არ იცის სამხრეთ ოსეთის საშინელი, აუწერელი ტრაგედია მენშევიკების ბატონობამ რომ დაატეხა თავს? ცეცხლი და მახვილი მუშაობდა ოსეთში თვეების და წლების განმავლობაში. ზღვა ცრემლის და სისხლის დააყენეს აქ ქართველ დემოკრატებმა, ოსეთის მშრომელთა სულსა და გულში აფურთხეს მენშევიკების მტარვალებმა, მაგრამ ოსეთის მშრომელი ხალხი საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან თანამშრომლობით დღეს თავის საშინელ ჭრილობების განკურნებას ცდილობს და არ ილტვის ჩვენგან შორს, რადგან იცის, რომ თუ ოსეთის მშრომელნი თავისთვის საკეთილდღეოთ მიიჩნევენ, საქ. საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ წინაღუდგება მათ სრულს თავისუფლებას...

განა სასწაულმომქმედი არ არის პროლეტარული ნაციონალური პოლიტიკა?

ჯარის წითელი მეთაურების „სამჭედლოსთვის“

მუშებო და გლეხებო! შემოდით მეთაურთა კურსებზე, შეავსეთ წითელი ჯარის რიგები, იყავით აქტიური ხელმძღვანელნი საბჭოთა ხელისუფლების სამხედრო ძალისა და აღმშენებელნი ახალი ცხოვრებისა, ახალი საზოგადოებისა, ახალი მეურნეობისა! ასეთმა ძახილმა, ვით გრიგალმა, მოჰფინა მთელი საბჭოთა რუსეთი დღიდან პროლეტარიატის გამარჯვებისა და მას ბანი მისცა მთელმა მშრომელმა მასსამ. არ დარჩენილა მთელს საბჭოთა რუსეთში არც ერთი კუთხე, საიდანაც, ვით შევარდენი, არ გამოფრენილიყვნენ რევოლიუციონურ სულით გატაცებული და საბჭოთა ხელისუფლების დამცველი გლეხი და მუშა. აღფრთოვანებულნი და ენტუზიაზმით გატაცებული, საუკეთესო შვილნი რევოლიუციისა, თავს იყრიდენ მეთაურთა კურსებში და აქ სამხედრო ცოდნით აღჭურვილნი უზადოდ დებდენ პროლეტარული რევოლიუციის და კომუნიზმის მტრებს სასტიკ წინააღმდეგობას და სიკვდილს. თუ დღეს მუშა და გლეხი თვითონ არის თავის ქვეყნის ბატონ პატრონი, თუ მის ხელთ არის სახელმწიფოს ყველა ნივთიერი და სულიერი ქონება, ეს მიტომ რომ არსებობს სამხედრო მეთაურთა კურსები—ეს „სამჭედლო გამარჯვებისა“. უამისოდ დაიღუპებოდა რევოლიუციის ყველა მონაპოვარი. აქ ამ სამჭედლოში, ვით ფოლადი, იკვეთებოდა თავდადებული გმირი, წითელი კურსანტი, რომელიც შეუპოვრად მიდიოდა საბრძოლველათ, სიცოცხლეს სწირავდა და განწირვის ჟამს მოუწოდებდა ამხანაგებს განეგრძოთ და დაეგვირგვინებით მუშა და გლეხთა საერთო საქმე საბოლოო გამარჯვებით.

ყველამ უწყის, რომ წითელი ჯარის ორგანიზაციაში და მის განმტკიცებაში წითელმა კურსანტებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი და ირგვლივ შემომტევმა მტერმა, მიუხედავათ განვითარებული ტეხნიკის და სიმდიდრისა, იგრძნო თავისი უძლურება წითელი ჯარის წინაშე, რომელსაც ხელმძღვანელობდენ წითელი მეთაურები, არ მოიპოვება ისეთი კუთხე სამოქალაქო ომის ასპარეზზე, სადაც ბრძოლაში არ მონაწილეობდენ წითელი კურსანტები და ყველგან იგინი ანადგურებდენ მტერს და გამარჯვებას არგუნებდენ მშრომელ ხალხს. თუ დღეს ომი არ სწარმოებს და საშუალება მოგვეცა მშვიდობიან აღმშენებლობითი შრომისთვის, დანგრეულ მეურნეობის აღსადგენათ, ამის მიზეზი წითელი ჯარია და მეტადრე კურსანტები, რომელნიც თავის მკერდით იცავდნენ მუშა და გლეხთა ინტერესებს და სიცოცხლეს სწირავდენ რევოლიუციის საქმეს. დასვენების ჟამი ჩვენ უნდა გამოვიყენოთ როგორც ნაყოფიერ შრომის აღდგენისათვის, აგრეთვე წითელი ჯარის გაძლიერებისათვისაც. უნდა გვახსოვდეს, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია კვლავ არ მოგვასვენებს და კიდევ ერთხელ შეეცდება, რევოლიუციის განადგურებას იარაღით ხელში. კვლავ შეეცდება დაადგას მშრომელ ხალხს მძიმე უღელი მონობისა და წამებისა. მზათ უნდა ვიყვეთ ამ ბრძოლისათვის, უნდა ვემზადოთ აუცილებელ ომისათვის. მუშას და გლეხს უნდა ახსოვდეს, რომ მშვიდობიან შრომის დროსაც კი ხელიდან არ გაუშვას თოფი.

თუ გინდა გამარჯვების მოპოვება და მტერთა განადგურება, უნდა ვისარგებლოთ საბჭოთა რუსეთის მაგალითით, თუ როგორ შექმნა მან ძლიერი წითელი ჯარი და მისი გმირი მეთაურები. აქაც საქართველოშიაც უნდა შევქმნათ ძლიერი წითელი ჯარი და მისი მეთაურები, რათა სამუდამოთ უზრუნველვყოთ ჩვენი თავი მსოფლიო იმპერიალიზმის ბრჭყალებისაგან.

წითელი ჯარის შედგენისათვის მთავარი კითხვა იყო შესაფერი მეთაურების გამოძებნა. ძველი ოფიცრობა პირველ ხანებში ვერ ეგუებოდა წითელი ჯარის შექმნის იდეას; იგი სულ სხვა პირობებში და გარემოებაში იყო აღზრდილი და სულ სხვა მიზნით.

იგი მხოლოდ იარაღი იყო გაბატონებულ კლასთა ხელში მშრომელი მასსის დაჩაგვრისათვის და მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ მოძრაობის დათრგუნვისათვის. მუშათა და გლეხთა ჯარი, ცხადია, სავსებით ვერ ენდობოდა ასეთ მეთაურებს, ვიდრე უკანასკნელნი სავსებით სულით და გულით არ შეეთვისებოდნენ წითელ ჯარს და თავის ბედს არ დაუკავშირებდენ მას.

თავდაპირველად ეს მოსალოდნელი არ იყო და დაყოვნება კი ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლებამ, გამოიყენა რა სავსებით სამხედრო სპეციალისტები ძველი ჯარისა, იმავე დროს მთელის თავის ენერგიით და ძალღონით მოჰკიდა ხელი ახალი წითელ მეთაურთა შექმნის საქმეს.

ეს მეთაურნი გამოვიდენ გლეხთა და მუშათა მასსიდან და თვით წითელ ჯართან ერთს მთლიანს და შეთანხმებულს ოჯახს წარმოადგენდენ, ან და ამხ. ტროცკის სიტყვით: „ერთ ხორცი და ერთ ძვალი იყვნენ წითელი ჯარისა“. ამ რიგად იშვა პროლეტარი—წითელი მეთაური, რომლის ხელმძღვანელობით წითელი ჯარი გამარჯვებას გამარჯვებაზე პოულობდა. ასევე უნდა მოვიქცეთ საქართველოში, უნდა შევქმნათ მთელი ქსელი სამხედრო სასწავლებელთა, სადაც შევლენ გლეხები და მუშები, შეისწავლიან სამხედრო ტეხნიკას და თავის გმირული ხელმძღვანელობით აგვაცილებენ თავიდან გაიძვერა იმპერიალიზმის საფრთხეს.

ამიტომ არის საჭირო, რომ მუშები და გლეხები შევიდნენ სამხედრო სასწავლებელში და როდესაც მთელი წითელი ჯარი მოფენილი იქნება წითელი მეთაურებით, მისი ავტორიტეტი გაიზრდება და მტერიც სათანადო ანგარიშს გაუწევს მას.

მაგრამ მარტო სამხედრო ტეხნიკის შესწავლით არ ისაზღვრება წითელი მეთაურის მნიშვნელობა, გარდა ამისა აქ ჩამოყალიბდება სულიერი აღმზრდელი მშრომელთა მასსისა, მათი იდეური ხელმძღვანელი, აქ შეისწავლიან საზოგადო და საპოლიტიკო მეცნიერებას, აქ არკვევენ ბევრს ეკონომიურ საკითხებს და გონებას ავითარებენ. ცხადია, თუ ძლიერი ვიქნებით და მტერს რკინის მუშტით დაუხვდებით, ეს კულტურული მუშაობა ბრწყინვალე ნაყოფს მოგვიტანს, რადგანაც ცოდნით აღჭურვილ ხალხს ვერავითარი ძალა მტრისა ვერ დასძლევს. კურსები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ საერთო ხასიათის განათლებით, იგინი შეასწავლიან საწარმოო ორგანიზაციების შექმნის საქმეს, შრომის პროცესს და ამით საშუალებას მისცემენ წითელ მეთაურებს, დაეხმარონ მშრომელ მასსას, როდესაც ეს საჭირო იქნება.

წითელი მეთაურნი—დამცველნი რევოლიუციის წითელი დროშისა! წითელი მეთაურნი—კულტურის მნათობნი—წითელ რესპუბლიკაში! წითელი მეთაურნი—წითელი მშრომელი არმია! განა დიადი და სახელოვანი არ არის მათი როლი? განა მომენტის შესაფერისი არ არის, რომ კურსების პროგრამაში შედის შესწავლა კაცობრიობის შრომის მთავარი დარგებისა იმ დროს, როდესაც ჩვენთვის უკიდურესად საჭირონი არიან აღმშენებელი ტეხნიკოსები

ასეა საქმე დაყენებული კურსებზე და მშრომელთ შეუძლიანთ და ვალდებულნი არიან ისარგებლონ ამით. ასე შენდება მუშათა და გლეხთა საქმე, ასე იქნება ძალა და ძლევამოსილობა იმ კლასისა, რომელსაც ისტორიამ მოუწოდა აწარმოოს გმირული ბრძოლა ძველი ცხოვრების ძირიან-ფესვიანად გარდაქმნისათვის.

ჩვენ მხურვალეთ მოუწოდებთ მუშებს და გლეხებს შემოვიდნენ სამხედრო კურსებზე, გახდნენ პროლეტარულ რევოლიუციის სანდო დარაჯნი, მთესველნი კულტურისა ქვეყნად და დაუღალავი მებრძოლნი შრომის ფრონტზე. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენ მოწოდებას შეისმენს გუთნის მშრომელნი და მუშები, შეავსებენ კურსებს, სადაც მიიღებენ სათანადო სწავლას და ცოდნას. დარწმუნებულნი ვართ, რომ საბჭოთა საქართველოს იდეური ხელმძღვანელი და მისი გონება და სინიდისი კომუნისტური პარტია, აგრეთვე პროფკავშირები და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირი მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ ამ დიდ საქმეში, რათა კურსებზე შევიდნენ სანდო პირნი—მეთაურები, რომელნიც ბრწყინვალედ გაუძღვებიან მშრომელ მასას კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისკენ.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს წითელ ჯარის წითელ მეთაურებს!

შ. დანელია.

მიწის რეფორმის ირგვლივ *)

მენშევიკურ რეფორმას საფუძვლად დაედო ნორმა (18 ქც. ოჯახზე) და კონფისკაცია შეეხო მხოლოდ ნორმაზედ მეტ მიწებს. ყველა მემამულეს, იყო ის მიწის მუშა თუ არა, უნდა დარჩენოდა 18 ქც. მამული. რაც შეეხება ჩამორთმეული მიწების განაწილებას, ერთი, ეს მოხდა არა თვით გლეხებისაგან შემდგარ რევოლიუციონური ორგანოების საშუალებით, არამედ მოსამსახურეების, მენშევიკური მექრთამე მოსამსახურეების მიერ, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ საუკეთესო მიწები ხელში ჩაუვარდათ სოფლის „კულაკებს“; მეორე, უფასოდ ჩამორთმეული მიწები მენშევიკებმა გლეხებს მიჰყიდეს და ამითაც ხელი შეუწყვეს კიდევ შეძლებულ გლეხებს.

სურათის შესავსებლად საჭიროა დაუმატოთ, რომ ნორმის ფარგლებში მიწის ყიდვა-გაყიდვა დაშვებული იყო.

მაშასადამე მენშევიკურმა რეფორმამ კერძო საკუთრება მიწაზედ არ მოსპო. მიწა ჩაუგდო ხელში შეძლებულ კულაკებს, ექსპლოატატორებს. უმიწაწყლო ღარიბი გლეხობა კი ისევ უმიწოდ დასტოვა. მოსპო მსხვილი მიწადმფლობელობა, შეიქმნა საშუალო კულაკური, დამყარებული დაქირავებულ შრომაზედ.

ამნაირ რეფორმას, რომელიც, ერთის მხრით უსპობდა სასოფლო მეურნეობას მსხვილი წარმოების უპირატესობებს, მეორე მხრით კი არ აძლევდა იმ უპირატესობასაც კი, რომელიც თან ახლავს მიწის საკუთარის ხელით დამუშავებას მესაკუთრის მიერ,—უნდა მოყოლოდა ფაქტიურად სასოფლო მეურნეობის წარმოების დაცემა.

ეს იყო რეფორმა მესაკუთრეობის განმტკიცების, რეფორმა ექსპლოატაციის დაკანონების, საერთოდ კი რეფორმა სასოფლო მეურნეობის დაცემის და ხალხის გაღატაკების. მაგრამ მიწის კითხვა მარტო კონფისკაციით და განაწილებით არ თავდება. ჭენჭყოების და ტბების დაშრობა, მდინარეების ნაპირების გამაგრება, გზების გაჰრა, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზაზედ დაყენება და ბევრი სხვა კითხვებს მენშევიკები ან სულ არ შეხებიან, ან გადაჰრეს უხეიროდ (გადასახლება).

ჩვენი რეფორმა რაში მდგომარეობს, რა გავაკეთეთ და წინ რა დაგვრჩენია გასაკეთებელი?

დეკრეტის პირველი მუხლი ამბობს: „ყველა მიწები მთელი მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილებას შეადგენს. მიწის ყიდვა-გაყიდვა, მისი იჯარით ან რაიმე სხვა სახით ვისმეზე გადაცემა ისპობა“.

მეათე მუხლი კი ამბობს: „მიწით სარგებლობის უფლება ეძლევა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ვინც კი მოინდომებს მიწის დამუშავებას საკუთარის შრომით თავის ოჯახის დახმარებით ან ამხანაგებით და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ შეეძლება მიწის მუშაობა“.

ამ დეკრეტის ძალით ისპობა კერძო საკუთრება მიწაზედ, მოსახმარად კი ის ეძლევა სუყველას, ვინც თავის ხელით მას ამუშავებს და მხოლოდ იმ დრომდე, სანამ მას შეეძლება მიწის მუშაობა.

ამ ნაირად მიწის საკითხის უმთავრესი ლოზუნგი „მიწა მიწის მუშას“, რომელიც სოციალისტურ რევოლიუციის დროშაზედ იყო დაწერილი, ჩვენში უკვე ტარდება ცხოვრებაში.

თვით მიწის განაწილება მშრომელთა შორის მოხდება, რასა თქმა უნდა, სამართლიანად განაწილების სისტემის საფუძველზედ. და აი აქ შესაძლებელია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპებით:

1. გათანასწორება თანახმად მუშა ხელისა (შრომის ნორმა).
2. გათანასწორება თანახმად ოჯახის სულოვნებისა (სულოვნობის ანუ სარჩოს ნორმა).

სად რომელი პრინციპი უნდა იქნეს მიღებული, ამ საკითხის გადაჭრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიწის რაოდენობას.

როდესაც მიწა ბევრია მაშინ შეგვიძლია წინასწარ გამოვარკვიოთ, რამდენი მიწა არის საჭირო, რომ ერთი მუშა ხელი მოინდომოს წლის განმავლობაში. ეს იქნება შრომის ნორმა. ეს ნორმა მიეცემა ყოველივე ოჯახს და რაც ამას გადარჩება, შეადგენს სახელმწიფო რეზერვს. ამ შემთხვევაში არც მუშა ხელი ცდება და გლეხის ოჯახიც უზრუნველყოფილი რჩება. ოჯახში ბევრი მუშაა.—ბევრი მიწას ღებულობს, ცოტა არის—ცოტას მიიღებს, მაგრამ იმდენს კი, რომ ეყოს მას სამუშევრად.

სულ სხვაფერ არის საქმე იქ, სადაც მიწის დიდი სივიწროვის გამო ყველა სოფლის მუშის შრომის დროს მიწის მუშაობა ვერ ფარავს. აქ შრომის ნორმა არ გამოდგება და უნდა მივმართოთ სახელმძღვანელოდ მეორე პრინციპს (სულოვნობის ნორმას). თავდაპირველად უნდა გამოვარკვიოთ, რამდენი სჭირდება ერთ პირს სიმინდი ან პური წლიურ სარჩოდ, მერმედ—მიწის რა რაოდენობაზედ მოდის ეს სარჩო. აი ეს მიწის რაოდენობა იქნება სარჩოს ანუ სულოვნობის ნორმა. თანახმად ამ ნორმისა ნაწილდება მიწა მაგრამ ისე კი, რომ ერთის მხრით ოჯახმა მიიღოს სამეურნეო მინიმუმი მიწისა, მეორე მხრით ეს ნორმა არ აღემატოს შრომის ნორმას. მაგალითად თუ ოჯახი ერთი სულისაგან შესდგება, სარჩოს ნორმა კი ნახევარი ქცევა არის, აშკარაა, რომ ამ მიწის რაოდენობაზედ არავითარი მეურნეობის მოწყობა არ შეიძლება. ამიტომ მცირე სულოვანი ოჯახებს (1—3 სულამდე) უნდა მიემატოს ნორმაზედ ერთი ან ორი ქცევა მიწა. ამასთანავე თუ მუშა ხელის რიცხვი ოჯახში არ მივიღეთ მხედველობაში, შესაძლებელი იქნება ზოგ ოჯახს შეხვდეს იმდენი მიწა, რომ ის საკუთარი ძალებით ვერ დაამუშავებს.

ამ პირობებში ნაწილი მუშა გლეხობისა (როდესაც ოჯახში ორი ან მეტი მუშა ხელია) რჩება უსაქმოდ. ეს ნაწილი ან უნდა გადასახლდეს იქ სადაც მიწა ბევრია, ან ცხოვრების წყარო ეძიოს სხვა საქმეში: ხელოსნობაში, ფაბრიკებში და ზავოდებში მუშაობაში და სხვა.

რომელი პრინციპია მისაღები ჩვენში? მიწის სიმცირის გამო საქართველოს უმეტეს ნაწილებში მისაღებია მხოლოდ მეორე პრინციპი, მხოლოდ ზოგიერთ ალაგას შეიძლებოდა მიღება პირველი პრინციპისა (შრომის ნორმა) და იქ ზედმეტი მიწების ფონდი უნდა გამოყენებული იქნეს გადასახლების მიზნებისათვის.

როდესაც ნორმაზედ ვლაპარაკობთ მიწის განაწილების დროს ყოვლად დაუშვებელია იქ, სადაც მიწის სივიწროვეა, არ მივიღოთ მხედველობაში პროფესია იმისი, ვისაც მიწა ეძლევა. სადაც მიწა ოჯახს ყოველივე მხრით ვერც აკმაყოფილებს, იქ შეუძლებელია მიეცეს ერთნაირი ნორმა ვაჭარს, მოხელეს, მოსამსახურეს, რომელთაც მიწის გარდა შემოსავლის სხვა წყაროებიც აქვთ და მიწის მუშა გლეხს, რომელიც მარტო მიწაზეა დაყრდნობილი და არავითარი სხვა შემოსავალი არ მოეძებნება. მიწით გათანასწორება შეიძლება იქ, სადაც მიწა ბევრია, იქ კი, სადაც მიწა არ არის საკმარისი, სრული ნორმა უნდა მიიღოს მხოლოდ მუშა გლეხმა, სხვებმა კი მხოლოდ ნაწილი ამ ნორმისა, თუ გლეხებს გადარჩება. თუ ეს ასე არ მოხდა, მუშა-გლეხის ინტერესები არ იქნება დაცული სავსებით. მიწის მსურველები გავყავით შემდეგ ხუთ კატეგორიად: 1) მუშა-გლეხი, 2) ვაჭარი, 3) მოხელე, 4) მოსამსახურე, 5) ქვრივ-ობლები და ინვალიდები. ამ ხუთი კატეგორიიდან სრული ნორმა მიეცა მხოლოდ მუშა გლეხებს და ქვრივ-ობლებს—ინვალიდებს, სხვებმა მიიღო მხოლოდ ნახევარი ნორმა. აი ამნაირად უნდა მოხდეს განაწილება განსახელმწიფოებრივებული მიწების. ჯერ თვით მიწის განაწილებაშიც ბევრი რამ არის მისაღები მხოლოდ დროებით და მომავალში აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მაგალითად ხონში მოსამსახურეებს უკავია განაწილების შემდეგ 451 ქცევა მიწა, განა ნორმალური მოვლენაა ის, რომ მასწავლებელი, ექიმი ან სხვა მოსამსახურე იძულებული იყოს ბელტებს უბრაგუნოს მაშინ როდესაც ის მაღალ ინტელექტუალურს საზოგადო მოვალეობას უნდა ასრულებდეს? მე არ მინდა ამით ვსთქვა, რომ ფიზიკური ვარჯიშობა მავნებელი იყოს ვინმესთვის, მაგრამ ერთია, როდესაც მოსამსახურე თავის ეზოში ანუ საერთო ბაღ-ბოსტანში თავისუფალ დროს დაღონებული კუნთებს ამოძრავებს და სულ სხვაა, როდესაც ის თავის სამსახურს ცდება, ყველა თავისუფალ დროს მიწის მუშაობას ანდომებს მაშინ, როდესაც ის თავის სპეციალურ დარგში უნდა ვითარდებოდეს იწვრთნებოდეს. აი სწორედ ეს კატეგორია სრულიად განთავისუფლებული უნდა იქნეს მიწის მუშაობისაგან. მოხდება ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო შესძლებს იმათ სრულ დაკმაყოფილებას ჯამაგირით ან ნატურით. მაშინ იმათი მიწები გადავა განკარგულებაში იმ მუშა-გლეხებისა, ვისაც დღეს მიწა აკლია.

არის კიდევ კატეგორია ქვრივ-ობლების და ინვალიდების, რომლებსაც მაგალითად ხონში უკავია განაწილების შემდეგ 330 ქცევა მიწა. მიწა მიწის მუშას; ასეთია აზრი დეკრეტისა. მაშასადამე ამ კატეგორიას მიწა სულ არ ერგებოდა. მართლაც, თუ ქვრივ-ობლის ოჯახს სხვა შემოსავალი აქვს, ოჯახში არიან მშრომელი ქალები, რომლებსაც შეუძლიან ოჯახი დაარჩინონ, მიწას კი ვერ ამუშავებენ, ამნაირი ოჯახისთვის მიწა ზედმეტია. რაც შეეხება ინვალიდებს და იმ ქვრივ-ობლების ოჯახებს, სადაც მუშა ქალიც არ მოიძებნება, ისინი შეადგენენ საგანს საზოგადო მზრუნველობისას და იქნენ მიღებული სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მფარველობის ქვეშ. დღეს ჩვენ დაუტოვეთ იმათ მიწა, მაგრამ აი რა მოხდა: სათესლე სიმინდი ჩვენ მივეცით, როგორც ღარიბებს, დახვნა-დათესვაში ჩვენ დავეხმარეთ, როგორც უსაქონლო და უმუშახელო ოჯახებს, გათოხნასაც თვითონ ვერ ახერხებდენ, თუმცა მივეცით ნება მუშის დაქირავების, გვალვების დროს ყანები ვერ მორწყეს და ამნაირად ჩვენ ბევრი შრომა გავწიეთ, იმათი ყანები კი მაინც ნაკლებია. იქ, სადაც 40 ფუთი სიმინდი მოდიოდა, ეხლა არ იქნება 15 ზედ მეტი. ეს კი სახელმწიფოსთვის დიდ ზარალს წარმოადგენს.

ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს; ქვრივ-ობლებს და ინვალიდებს მიწა უნდა ჩამოერთვას და იქ მოეწყოს საბჭოთა მეურნეობა.

ქვრივ ობლებს იქედან კიდევაც რომ მიეცეს ის, რასაც ისინი დღეს იწევენ, მაინც ეს სახალხო მეურნეობისთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე დღევანდელ პირობებში დატოვება.

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით სახნავ-სათეს მიწებზედ. საჭიროა განსაზღვრული ნორმა აგრეთვე ეზოებზე ვენახებზე, ბაღებზე, ბოსტნებზე და სხვა. სოფლის მეურნეობისთვის არის საჭირო ეზოს ერთნაირი მინიმუმი და როდესაც ეს მინიმუმი არ არის ოჯახის მეურნეობა ძალიან შევიწროებულია. ეს აუცილებელი საჭირო ეზო შესდგება შემდეგი ნაწილებისგან: 1-მეოთხედი ქცევა შენობების ქვეშ, 1-მეოთხედი ქცევა საქონლის და ფრინველებისთვის, 1-მეოთხედი ქც. ბოსტნისათვის, 1-მეოთხ. ქცევა თავისუფალი ალაგი სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის. ამას უნდა მიემატოს ნახევარი ქცევა ვენახის ან ბაღისთვის. ამნაირად ეზოს ნორმას, რომელშიც შედის ბოსტნის, ბაღის, ვენახის და სხვა ნორმებიც, შეადგენს ერთ ნახევარი ქცევა მიწა. უნდა ვეცადოთ განაწილების დროს ამ ზომის ეზოთი უზრუნველ ვყოთ შეძლების და გვარად სოფლის მუშა გლეხი.

როგორ მოვიქცეთ იმ შემთხვევაში როდესაც გლეხს ორი-სამი ან მეტი ქცევა ვენახი აქვს—ჩამოვართვათ და სხვას გადავსცეთ? ეს არ არის სასურველი. მაგრამ თუ ამ გლეხმა სახნავ-სათესი ნორმაც მიიღო ჩვეულებრივ მაშინ დიდი უთანასწორობა მოხდება გლეხების ეკონომიურ მდგომარეობაში. გამოსავალი ერთია: თუ გლეხს ბევრი ვენახი, ბაღი ან სხვა კულტურით მოშენებული ეზო აქვს და თუ ეს მამული მთლად არ წარმოადგენს მაღალ კულტურულ ღირებულებას, მას დაეტოვება ეზოს ნორმაში ერთ ნახევარი ქც. მიწა, დანარჩენიც მას არ ჩამოერთმევა, მაგრამ ზედმეტი ჩაეთვლება სახნავ სათესის ნორმაში. გლეხს ეტოვება მეტი ვენახი, მას მიეცემა ნაკლებ სახნავ-სათესი. ვენახი და ბაღი სახნავ სათეს მიწაზე არც ნაკლები მუშა ხელს მოითხოვს და შემოსავლითაც გაცილებით მაღლა სდგას. ამიტომ ასეთი გლეხი სრულებითაც არ იქნება დაჩაგრული მაშინაც კი რომ მას სახნავ სათესი სრულებითაც არ შეხვდეს. ოჯახის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სულაც არ არის საჭირო, რომ მაინც და მაინც გლეხმა სიმინდი დათესოს. სამხრეთ საფრანგეთის ბევრი გლეხობა ხორბლეულობას არც კი თესავს და ოჯახს არჩენს მხოლოდ ვაზის კულტურით. ეხლა რაც შეეხება სოფლების ერთმანეთში გათანასწორებას და მით უმეტეს, როდესაც ეს გათანასწორება ვრცელდება თემებზედ და მაზრებზედ—აი აქ არის საჭირო დიდი სიფრთხილე, ვინაიდან ჩვენში დიდი სხვანაირობაა მიწების ხარისხის მხრით, საერთო ნორმა რაც შეიძლება უფრო ვიწრო რაიონზედ უნდა გავრცელდეს და მხოლოდ ამნაირად შეგვიძლია ჩვენ ავიცდინოთ თავიდან დიდი შეცდომები.

ყველაფერი ის, რაზედაც აქამდის ვლაპარაკობდით ე. ი. ჩამორთმევა განაწილება და საერთო გათანასწორება არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი მიწის რეფორმაში და თუ ამ ნაბიჯს მეორეც თან არ მოყვა, სოფლის მეურნეობა არამც თუ აიწევს, შესაძლებელია კიდევაც დაიწიოს მან.

შუაგზაზედ შეჩერება არ უნდა მოხდეს თუ ჩვენ გვინდა, რომ რეფორმა რეფორმისთვის არ დარჩეს. შუაგზაზედ გაჩერება მიწის საკითხში აუცილებლად დაგვაბრუნებს უკან. მე ამ წერილის დასაწყისში ვამბობდი, რომ მენშევიკური რეფორმა არ იყო პროგრესიული, ვინაიდან ის სხვათა შორის სპობდა მსხვილ მიწადმფლობელობას და ქმნიდა მცირე კულაკურს, რითაც ართმევდა სოფლის მეურნეობას მსხვილი წარმოების უპირატესობებს. ჩვენი რეფორმით კი მიწები ერთიანად დაიკუწა, დაიფანტა, ამ გარემოებას ვერ გამოაკეთებს ვერავითარი ნაჭრების გაცვლა-გამოცვლა. საჭიროა უფრო სხვა რამე.

ჯერ შევადაროთ მსხვილი მეურნეობა და წვრილი:

1) მსხვილი მეურნეობა საჭიროებს შედარებით უფრო ცოტა ინვენტარ საქონელს, იარაღებს, შენობებს და სხვას ვიდრე სუყველა წვრილი მეურნეობები ერთად აღებული ერთი და იმავე მიწის სივრცეზედ. ამიტომ წარმოების ხარჯები მსხვილ მეურნეობას უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე წვრილებს და აქედან წმინდა შემოსავალიც შედარებით პირველს მეტი აქვს ვინემ უკანასკნელს.

2) მსხვილ მეურნეობაში შრომობს ერთად ბევრი მუშა, ამიტომ იქ შესაძლებელი ხდება შრომის განაწილების შესაძლებელ მაქსიმუმამდე მიყვანა, რაც ძალიან ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და დიდ ეკონომიას ახდენს მუშა-ხელზედ. წვრილში კი ყველა სამუშაოს ასრულებს ერთად ერთი მიწის პატრონი, ამიტომ აქ შრომის განაწილება შეუძლებელია.

3) მსხვილ მეურნეობას შემოსავლის სიდიდე ხელს უწყობს შეიძინოს ძვირფასი სამეურნეო იარაღები ხელოვნური საპოხიერო ნივთიერებანი, იყოლიოს მრავალი და კარგი ჯიშის მსხვილ ფეხი საქონელი და ამნაირად დააგროვოს მეტი ნაკელი მიწის გასაპოხიერებლად. წვრილი მეურნეობა კი ამ გვარ ხარჯებს ვერ იტანს.

4) თესლცვლის სისტემა, რომელიც დიდ მოგებას იძლევა მიწის გამოყენების მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ მსხვილ მეურნეობაში. გარდა ამისა წვრილ მეურნეობაში მიწა იკარგება უქმად ანაპირებზედ, მიჯნებზედ და გზებზე. არ აქვს საშუალება იქონიოს საბალახო, რაც იწვევს მესაქონლეობის შემცირებას, ნაკელის უქონლობას და აქედან მოსავლის დაწევას. შედარებით ბევრი დრო იკარგება საქონლის მოვლა-მოწყობასში და ბევრი სხვა.

ერთი სიტყვით წვრილი მეურნეობა ავიწროვებს მიწის დამუშავების ტეხნიკის განვითარებას და საერთოდ არ არის სასურველი სახალხო მეურნეობის თვალთაზრისით.

მაშასადამე, ცხადია, ჩვენც უნდა ვეცადოთ სოფლის მეურნეობის აღორძინებლად შევქმნათ ამ დარგში მსხვილი წარმოების პირობები.

მსხვილი მეურნეობის ყველა კარგი მხარეებით სარგებლობისთვის კი სულაც არ არის აუცილებელი საჭირო, რომ მამულის მესაკუთრე იყოს ინდივიდუალური და არა კოლექტიური. ყველა ამ უპირატესობებს ჩვენ მივაღწევთ მაშინაც, როდესაც მსხვილი მეურნეობას ეწევა ერთად შეკავშირებული რამოდენიმე წვრილი მემამულეები ანუ მუშა-გლეხები. კარგი შედეგები მსხვილი კულტურისა, მაშასადამე, არ არის დამოკიდებული იმაზედ, ხდება ეს ერთი კერძო პირის მამულზედ თუ მრავალი მშრომლების შეერთებული ნაჭრებზედ. წვრილი მიწის მფლობელობას არა აქვს თავის თავად დიდი მნიშვნელობა, არ არის სახეირო მხოლოდ თვით სოფლის მეურნეობის კულტურის დაწვრილება. აქედან, თუ ჩვენ ის გლეხები, ვისაც დღეს მიწა დაეტოვა, შევაკავშირეთ, იმათი მიწები შევაერთეთ საერთო დასამუშავებლად მაშინ ჩვენ ხელთ გვექნება ყველა უპირატესობები მსხვილი წარმოებისა წვრილი მემამულის უფლებების დაურღვევლად მოსავალზედ. თუ ოჯახს საშუალო რიცხვით უწევს ხუთი ქცევა მიწა, შეიძლება სოფელი ანუ უბნები დავყოთ არტელებათ ისე, რომ თითო არტელში მოთავსდეს ოცი ოჯახი, მაშინ არტელს ექნება ასი ქცევა მიწა, რომელიც ძალიან ბევრი არ არის, მაგრამ ჩვენში საკმარისია, რომ საერთო დამუშავებით მსხვილი მეურნეობის შედეგები მივიღოთ აი ეს არის ეხლა მეორე ნაბიჯი მიწის რეფორმის საქმეში და ამის წინ არ უნდა დავიხიოთ, თუ გვინდა ჩვენ მახლობელ მიზანს მივაღწიოთ ე. ი. ავწიოთ სოფლის მეურნეობა და შევაჩვიოთ გლეხობა კოლექტიურად მუშაობას.

ექ. გ. სანაძე.

---

*) რედაქცია, ბეჭდავს რა ამხ. სანაძის წერილს, ამასთანავე საჭიროდ სთვლის განაცხადოს, რომ ის არ ეთანხმება ავტორს ყველა მის მიერ წამოყენებულ დებულებებში და უახლოეს ნომერში მოათავსებს ამის შესახებ ცალკე წერილს.

რედ.

საბჭოთა რუსეთის პრესა

ვინ ემუქრება მშვიდობიანობას?

ბურჟუაზიულ მთავრობების საქვეყნო მოქმედება არ წყდება. სტამბოლში რუსეთ უკრაინის სავაჭრო წარმომადგენლების ამას წინათ დაჭერა ჩვენ ჯერ არც კი დაგვივიწყნია და ახლა კიდევ ირკვევა, რომ ეს დაჭერა წარმოადგენს შედეგს ვიღაც თეთრ გვარდიელ პოლკოვნიკ ბოგდანოვის პროვოკაციას, რომელმაც თავს იდო თურმე „კომუნისტური შეთქმულების“ გამოაშკარავება და მიიღო კიდეც ამისთვის მოკავშირეებისაგან 3 ათასი თათრული ლირა. როდესაც გამოირკვა, თუ როგორ მუხანათურად მოეტყუილებია მასზე დანდობილი ბრიტანელები, ეს გამცემი გაიქცა სტამბოლიდან, რის შემდეგაც ინგლისელებს არაფერი სხვა არ დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ რამდენიმე იმისი ნაცნობი დაეჭირათ იმავე თეთრ გვარდიელთა ბანაკიდან. ამას არ დაუშლია ინგლისელებისთვის მოეწყოთ მათ ამის შემდეგაც რაღაც ახალნაირი ჭერა რუსებისა სტამბოლში. ახლა რომელ პოლკოვნიკს შეჰყავს ისინი შეცდომაში, ჯერ არ არის გამორკვეული.

ინტერვენცია ფაქტიურად გრძელდება. ამიტომ ჩინეთის ელჩს პარიზში და ლონდონში ამცნეს, რომ ჩინეთმა არ იჩქაროს შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან დამოკიდებულების გაბმა, რადგან ინგლისი და საფრანგეთი არ ფიქრობენ, რომ ისინი იცნონ; ამასთან იაპონიის ჯარი რჩება ციმბირში. კიდევ მეტი. იქ ელოდებიან ვრანგელის ჯარის მოსვლას, რომელთანაც ერთად ამის შემომტყობინებელი იაპონელი ოფიცერი საზღვრავს ამ ჯარის რიცხვს 100 ათასი კაცით. მარა რადგან ვრანგელს ასეთი რიცხვი სალდათებისა არ დარჩენია, აქ ცხადია ის უცდის საზღვარგარეთის სხვადასხვა მხრიდან მომავალ სხვა კონტრ რევოლიუციონერების რიცხვიდან შევსებას. ანტანტის დაუხმარებლად კი ძალების ასე შერჩევა-გამოყენებას ვერ შესძლებდნენ.

შემდეგ ბალტიის სანაპირო კავშირები უკვე შესდგა, სადაც ლიტვა არ შედის, მაგრამ პოლონეთი კი იღებს მონაწილეობას, რაც, როგორც ჩვენ ამ დღეებში მივუთითეთ, აძლევს მას სრულებით სპეციფიურ ხასიათს. განსაკუთრებით საეჭვოა ჰელსინგფორსის კონფერენციის მონაწილეთა დუმილი იქ წარმოებულ მოლაპარაკების შინაარსზე. და ახლა თუ კონფერენციის მომენტს და მის შემადგენლობას შევუფარდებთ იმპერიალისტური დიდი სახელმწიფოების სხვა მოქმედებებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ მაინც იყო შეკრული რაღაც პირობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული.

ზემო სილეზიაში მოკავშირეები, განსაკუთრებით ფრანგები განაგრძობენ თავიანთ ჯარის შემოყვანას. აქ ყველაზე მეტი დამახასიათებელია ის, რომ ინგლისი და იტალია, რომლებიც ამას წინად კიდევ თითქო არ ეთანხმებოდენ ამას, ახლა როგორც სჩანს დაეთანხმნენ ფრანგების „აზრ შეხედულებას“. რუმინიაში და პოლონეთში საფრანგეთი არ სწყვეტს იარაღებისა და ტყვია-წამლების შეტანას იმ მიზეზით, რომ ვითომ ამ სახელმწიფოებზე თავდასხმას ეპირებიან ბოლშევიკები ვიცით რა, რომ საფრანგეთის მთავრობა ცდილობს პოლონეთი და რუმინია თავის ბაზათ გადააქციოს, რომ საბჭოთა რუსეთზე შეტევა მოაწყოს. ჩვენ გვაქვს საბუთი, რომ დიდი ეჭვით შევხედოთ საფრანგეთის ჯარის გაძლიერებულ გადაყვანას ზემო სილეზიაში, ვფიქრობთ რომ ეს კონცენტრაცია საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებისა პოლონეთის ზურგში საბჭოთა რესპუბლიკაზე დაცემის საერთო გეგმაში შედის.

საბჭოთა რუსეთზე ალყის შემორტყმა ხორციელდება არა მარტო ჩრდილოეთით, დასავლეთით, აღმოსავლეთით, არამედ—სამხრეთიდანაც. ამას წინათ ჩვენ ვკითხულობდით საზღვარ-გარეთ აღორძინებულ მთიურ კავკასიის რესპუბლიკების კავშირის შესახებ, რომელიც შემდგარა კავკასიიდან გაქცეულ სხვადასხვა თეთრ გვარდიელთა მთავრობებისაგან. ამ რამდენიმე კვირის წინათ ამ ფანტასტიურ მოკავშირეებს ჰქონდათ ბედნიერება ენახათ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ბრიანი, (რომელსაც ალბად ეკუთვნოდა ეს ბრწყინვალე იდეია) ახლა ჩვენ ვგებულობთ, რომ ეს ბატონები მოელიან კიდევ იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრს. ყოველივე ეს კი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ საბჭოთა რუსეთისა და მის მოკავშირეების წინააღმდეგ ბურჟუაზიულ მთავრობების შეთქმულება არ წყდება, რომ ისინი ახდენენ მობილიზაციას თავიანთ განკარგულებაში მყოფ ყველა ძალებისას და წინასწარ შემუშავებულ გეგმით აწარმოებენ დიპლომატიურ და სამხედრო ალყის შემორტყმას საბჭოთა რესპუბლიკებისას.

და კიდევ ყოველივე ამის შემდეგ ეს ვაჟბატონები გაჰყვირიან ჩვენს მობილიზაციაზე! იმათ ჰყოფნის უსირცხვილობა მათ მიერვე გავრცელებულ ჭორების დასტურებისა, რომლებიც აქ თითქო ემყარებიან „რუსეთის აღმასკომის უწყებებს“, კერძოთ კი ჩვენს

წერილს, რომელშიაც ვითომ იშკარად ჩანდეს რუსეთის ძალების მობილიზაცია. ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ მხოლოდ ერთი: ჩვენ არავითარ მობილიზაციას არ ვახდენთ და არც გვიფიქრია ასეთი რამ. პირიქით ყველამ იცის, რომ ვახდენთ ნაწილობრივ განიარაღებას (დემობილიზაციას) ჩვენი ჯარისას უკანასკნელ საბჭოთა ყრილობის დადგენილებისამებრ. მაგრამ ასეთ გაბმულ ინტრიგებისა და მზადებისა ჩვენი მტერი სახელმწიფოების მხრივ, როგორიც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ რომ დაგვეწყო საპასუხო მობილიზაცია, ეს იქნებოდა სრულიად ბუნებრივი. ჩვენ კი ახლაც არა ვშვრებით და არც ვფიქრობთ ვქნათ.

შეიძლება განა ამაზე უფრო ცხადათ უარყოფილ იქნას ის ბოროტი ხმები, რაც საბჭოთა რუსეთის რაღაცნაირი აგრესიული განზრახვების შესახებ ვრცელდება? შეიძლება განა ამაზე მეტი დამამტკიცებელი საბუთი იყოს კიდევ სადმე, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მშვიდობის მოყვარეობა და იმის გულწრფელი სურვილი ყოველივე ძალას თავი მოუყაროს შინაური მეურნეობის საღმშენებლოთ, ყველასთვის სარწმუნო იყოს?

არ დამშვიდდებიან არც ახლა ჩვენი მტრები ამ ჩვენ მიერ გამოჩენილ მშვიდობის მოყვარეობის დანახვაზე? არ მოიქცევიან ისინი ისე, როგორც წარსულ წელს პოლონეთი მოიქცა, როდესაც მან ჩვენი სამშვიდობო განწყობილება ჩვენი სისუსტის ნიშნათ მიიღო და დაიწყო ჩვენს წინააღმდეგ უმიზეზოთ გამოწვეული სასტიკი ომი? ეს შესაძლებელია. მარა ეს დამოკიდებული იქნება უკვე არა ჩვენზე.

ჩვენ შევსძლებთ, თქმა არ უნდა, მივსცეთ ღირსეული პასუხი ყოველივე ვერაგობას და თავდასხმას ჩვენი შეურიგებელი მტრებისას. მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვემყარებით მსოფლიო პროლეტარიატის დახმარებას. მისი მთავარი მიზანია, არ დაუშვას არავითარი ახალი ომები, განსაკუთრებით კი არ დაუშვას არავითარი ახალი თავდასხმები საბჭოთა რუსეთზე. ეს საქმე კი ძლიერ გაუადვილდება მათ ჩვენი მშვიდობის მოყვარეობის ტაქტიკის მეოხებით. ჩვენ რომ ომის ინიციატორებად გამოვსულიყავით, რაც უნდა დიდი სიმპატია გვქონოდა დამსახურებული მსოფლიოს მუშებში, მაინც ძნელი იქნებოდა მათი ფართო მასსების ამოძრავება და გაღვიძება მათში მისწრაფებისა, რომ აქტიურათ გამოსულიყვნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ იმპერიალისტების ომის შესაჩერებლათ. მაგრამ როდესაც უკანასკნელი, მიუხედავად მისი მტრების ყველასთვის ცხად პროვოკაციისა ბოლომდის იჩენს სამაგალითო მშვიდობის აშკარა მოყვარეობას, ყოველი პატიოსანი მუშა და ყოველი უბრალო ადამიანიც კი მიხვდება თუ ვის უნდა ომი და ვინ უმზადებს საფრთხეს მთელ ქვეყანას.

ს. სტეკლოვი.

3 „იზვესტია“.

მებრძოლის საფლავზე

(ილიკო მგელაძის ხსოვნას)

საყვარელს ხმაზე ინთებოდი გმობის ცეცხლათა,
წარსულის შხამი გულში ღვარათ გედინებოდა,
სადარაჯოზე ატარებდი ღამეს თეთრათა,
დილის შეღებვა ოქროს ფრად გეფიქრებოდა.
ბრძოლის ქანითა მუდამ მთვრალი მტერს არ უერკოდი,
ის ყარდები არ უნახავს შენს გზა-სავალსა,
რწმენას ცეცხლისა რკალებითა გარს ევლებოდი,
არ აჟანგებდი უმოქმედოთ ქარქაშში ხმალსა,
მაგრამ უდროვოთ ჩაგიფერფლა სიცოცხლის ცეცხლი.
სიკვდილის გველი მოგეპაროდა და მოგიშხამე,
აწ სამარეში დამუნჯდება ენა მეტყველი,
და მებრძოლთ რაზმსა საუკუნოთ გამოესალმე.
მშვიდობით ძმაო! შენ მიდიხარ, ჩვენ ხომ აქ ვრჩებით,
შენი რწმენისა წითელ დროშას ხელს არ გაუშვებთ,
და ვეფიცებით ამ შენს ცივ გვამსა. გზას არ ავცდებით
სანამ მშრომელებს ნეტარ ქვეყნის კარს არ გაუღებთ!

სანდრო ეული

წითელი კომანდირის „სამდღეული“

ყველა რაიკომებს.

(საქართ. კომპარტ. თბილ. კომ.—ის ცირკულიარი)

კვირას 11 სექტემბერს ქ. თბილისში იწყება სამდღეული წითელი კომანდირისა. სამდღეულის გასატარებლად თ. კ—ის აგიტ-განყოფილებასთან შემდგარია კომისია თ. კ, სამხედრო ორგანიზაციების და პროფკავშირების წარმომადგენლებისაგან. რაიკომები ვალდებული არიან სამდღეულის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესით:

1) კვირას მოხდება გარნიზონის კურსანტების აღლუმი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ ყველა რაიონული პარტ. ორგანიზაციები სრული შეიარაღებით,

თავი უნდა მოიყარონ 11 საათზე საქ. კომ. პარტიის ც. კომიტეტთან.

2) ორშაბათს რაიკომები მოვალენი არიან მუშაობის დასრულებამდე ერთი საათით ადრე მოაწყონ ყველა სხვა სამრეწველო რაიონებში მუშების საერთო კრებები, რისთვისაც რაიკომებთან მივლინებული იქნებიან ამხანაგები სამუშაოთ. ამ ამხანაგების სია ცალკე იქნება გამოგზავნილი. საერთო კრებებზე მოხსენების თემა იქნება: „მნიშვნელობა წითელი კომანდირისა“. რომელ საათზე იქნება კრება დანიშნული და როგორ უნდა განაწილდეს მუშაობა, ამაზე რაიკომები მოელაპარაკებიან მივლინებულ ამხანაგებს.

3) სამშაბათს რაიონებში მოხდება საერთო რაიონულ პარტ. კრებები, კომუნისტურ ახალგაზრდობასთან და თავის რაიონის სამხედრო კომუნისტურ ორგანიზაციებთან ერთად.

საერთო რაიონულ კრებებზე მოსახსენებლად თემაზე „მნიშვნელობა წითელი კომანდირისა“ დანიშნული არიან შემდეგი ამხანაგები: 1 რაიონში ამხ. ელიავა, მე-2 რაიონში ამხ. ღოღობერიძე, მე 3 რაიონში ამხ. ორახელაშვილი, მე 4 რაიონში ამხ. ვირაპი. მე 5 რაიონში ამხ. ალი ტაგი ზადე.

4) ყოველ დღე სამდღეულის განმავლობაში 8 საათიდან ყველა რაიონის კლუბებში და სინემატოგრაფებში იქნება კონცერტები და პასუხისმგებელ ამხანაგების გამოსვლები. სამდღეულის დასრულების შემდეგ უნდა წარმოდგენილი იქმნას ანგარიში თ. კ—ში.

თბილისის კომიტეტის მდივანი
ლოლ ბერიძე.
ორგან. განყოფ. გამგე გოლდბაუმი.

ამხ. ილია მგელაძეს

ამხ. ილიკო მგელაძის ხსოვნას

თბილისის მაზრის კომპარტიის კომიტეტი და თბილისის მაზრის რევკომი აბარებს მიწას თავის უფროსს თანამშრომელს, დაუღალავ მუშაკს, ხალხის საყვარელ მებრძოლს, ხალხის სიყვარულით აღსავსე გულს, ხალხის სამსახურის მსხვერპლს—ძვირფას ილიკო მგელაძეს. ჩვენ მისი ამხანაგები, მისი ახლო თანამშრომელნი ეს სიკვდილი, უდროოდ ასეთი ამხანაგის დაკარგვა როგორიც იყო ამხ. ილიკო მგელაძე გულს სევდით გვივსებს და ცრემლით თვალს გვვრევა და უნუგეშოთ ვაძლევთ ჩვენს თავს საკითხს; ამხ. ილიკო, რომელ ჩვენთაგანს შეუძლია შეგვცვალოს შენ სოფლის—გლეხკაცობის ტრიბუნაზედ? რომელს ჩვენთაგანს შეუძლია იმგვარად აღაფრთოვანოს გლეხკაცობის გული, როგორც ეს შენ შეგეძლო? რომელს ჩვენთაგანს შეუძლიან ჩაიხედოს გლეხკაცობის გულში ისე ღრმად და გაიგოს მისი გულის ვარამი, როგორც ამას ახერხებდი შენ?

არა, საყვარელო ამხ. ილიკო, არც ერთს ჩვენთაგანს არ შეუძლია შენი ადგილი დაიკავოს. და აი სწორედ ამიტომ ჩვენ რევოლიუციონურ [illegible] გაზრდილთ, რომელთა თვალთ ცრემლით არ უნდა ავსებოდეს—ამ წამში, როდესაც შენ დაგკარგეთ და შენს უსულო გვამს უცქერით, თვალი ცრემლით გვევსება. მაგრამ ძვირფასო ამხ. ილიკო, თუ ჩვენ არ ძალგვიძს შეგცვალოთ შენ, შენს საყვარელ სამოქმედო ასპარეზზედ—იმედი გვაქვს, დაუღალავად ერთგულად განვაგრძოთ შენი საყვარელი საქმე. კერძოთ ვეცდებით ნაწილობრივ მაინც შევუმსუბუქოთ შენს პატარა—საყვარელ შვილებს ლიზას და ასიკოს შენი სიკვდილით დაწყლულებული ნორჩი გული.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო ილიკო, მშვიდობით ჩვენო სიქადულო თანამშრომელო.

ს. კ. პ. თბ. სამ. კომიტეტი თბ. მაზრის რევკომი.

ილიკო მგელაძე

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ დაკარგა კიდევ ერთი თავდადებული და ენერგიული მუშაკი.

ვინც კი დაახლოვებით იცნობდა ილიკოს, ის უეჭველად გულწრფელად იტყვის, რომ ილიკო იყო ნამდვილი რევოლიუციონერი. პირადად მე მას გავიცანი თბილისის მაზრის რევკომში. გადატრიალების პირველ ხანებში, ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსული ილიკო, ჩაუდგა სათავეში თბილისის მაზრის რევკომს.

მიუხედავათ თბილისის მაზრის მოსახლეობის მრავალფეროვნებისა, მან ისე მოაწყო მაზრა, რომ დღეს პირველი ადგილი უჭირავს მთელ საქართველოში საბჭოთა აღმაშენებლობის მხრივ.

საკმაო თეორეტიულ მომზადებასთან ერთად მას ჰქონდა დიდი პრაქტიკა საბჭოთა აღმაშენებლობისა.

ილიკოს უყვარდა ხალხში მუშაობა და ამიტომ უფრო მეტ დროს მას ნახავდით არა კაბინეტში, არამედ გლეხებში, სოფლებში და კრებებზე.

მოხდებოდა თუ არა მაზრის დაბა-სოფლებში გლეხებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის უთანხმოება ილიკო მყისვე მიეშურებოდა ადგილობრივ და მშვიდობიანათ აგვარებდა საქმეს.

ივნისის დამდეგს ილიკოს მოსდის დეპეშა მანგლისიდან, რომ რევკომი აღარ დგას თავის სიმაღლეზე და ხალხში იწვევს უკმაყოფილებას. ილიკო იმ წუთშივე იწვევს სამაზრო რევკომის და კომიტეტის კრებას და გზავნის ახალი შემადგენლობის მანგლისის რევკომისას. ასეთი შემთხვევები მეორდებოდა სხვა რაიონებშიაც.

უკანასკნელად ილიკოს მოუხდა მგზავრობა წალკაში (ყოფილი ბორჩალოს მაზრა) სწორეთ ერთი თვე შესრულდა დღეს, რაც ბორჩალოს მაზრის წალკის რაიონი შეუერთდა თბილისის მაზრას. რაიონის ჩასაბარებლად და ადმინისტრაციის ასარჩევად გაემგზავრა წალკაში ილიკო ივლისის დამლევს. წალკაში გამგზავრებისას ის გზაში ერთი დღე გაჩერდა მანგლისში; მოიწვია რევკომის და პარტკომის კრება, სადაც გააკეთა ვრცელი და საქმიანი მოხსენება; მისცა რევკომს ახალი სახელმძღვანელო ინსტრუქცია; მოახდინა რევკომის შემადგენლობაში ცვლილება და მეორე დღესვე გაემგზავრა წალკას. წალკაში მან მოიწვია მთელი რაიონის 47 სოფლის უპარტიო გლეხთა ყრილობა, სადაც ყოველ მხრივ განუმარტა გლეხებს საბჭოთა აღმაშენებლობა და აგრეთვე სასურსათო გადასახადის პოლიტიკა და სხვა.

წალკიდან დაბრუნებისას ილიკო რაღაც ცუდად გრძნობდა თავს. უფრო აწუხებდა ძველი რევმატიზმის გახსენება, ვინაიდან მას იქ ყოფნის დროს მოუხდა ცხოვრება ნესტიან სახლებში.

მიუხედავათ ტკივილებისა, ილიკო უდიდეს სულიერ კმაყოფილებას გამოთქვამდა, რადგან ბევრი რამ გაეკეთებია გლეხთა ყრილობაზე.

სხვათა შორის ასე თქვა: „ამდენი ჯერ არსად არ გამიკეთებია რაო“.

მოკლე ხნის განმავლობაში ილიკო ფართო მასაში პოპულიარული პიროვნება ხდება. ილიკო იყო არა მარტო სამაზრო რევკომის თავმჯდომარე—არამედ სამაზრო კომიტეტისაც ფაქტიურად. მაგრამ დღეს აღარ გვყავს მომღიმარი და სიცოცხლით სავსე ილიკო.

მშვიდობით, ძვირფასო ამხანაგო, ილიკო. შენისთანებს მუშათა კლასი არასოდეს არ დაივიწყებს.

შენ მუდამ ცოცხალი იქნები მშრომელთა გულში.

ნ. კოლხიდელი.

წითელ რესპუბლიკებში

პოლიტიკურ განათლების წარმომადგენელთა ყრილობა.

მოსკოვი. 8 აგვ. (როსტა). 15 ოქტომბრისთვის დანიშნულია სრულიად რუსეთის პოლიტიკური განათლების განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობა. ყრილობის პროგრამაში შედიან კითხვები: მთავარ პოლიტიკურ საგანმანათლებლო განყოფილების ანგარიშები, ეკონომიურ პოლიტიკის მთავარი ამოცანები, საგიტაციო მუშაობის ფორმათა ამოცანები, საპროპაგანდო მუშაობის ფორმათა და მეთოდების ამოცანები, სამხატვრო პოლიტიკა და მუშაობის მეთოდი, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა, წითელ არმიის საგანმანათლებლო პოლიტიკა, პროლეტარულ-კულტურის ამოცანები და მუშაობა, პარტიულ ორგანიზაციათა და პროფორგანიზაციათა ურთიერთობა, კითხვები პოლიტიკურ საგანმანათლებლო განყოფილებათა ფინანსებით მომარაგებაზე ახალ ეკონომიურ ვითარების დროს.

შეცდომის გასწორება

ცირკულიარში № 5 ში (იხ. „კომ.“ № 157) შემდეგი შეცდომები შეგვეპარა:

პირველ სვეტში თავშივე დაბეჭდილია: „მიუხედავათ იმისა, რომ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ რამდენიმეჯერ იქნა ახსნა განმარტებული ანუ მიწის იჯარის საკითხი...“ უნდა იყოს: „მიუხედავათ იმისა, რომ მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ რამდენიმეჯერ იქნა ახსნილი და განმარტებული ლალის ანუ მიწის იჯარის საკითხი“.

და მეორე სვეტში: „ალაგ თურმე ადგილი ჰქონებია“ უნდა იყოს: „ალაგ ალაგ თურმე ადგილი ჰქონებია“.

ქრონიკა

— სახელმწიფო გამომცემლობაში. სახელმწიფო გამომცემლობის საგამომცემლო განყოფილების გამგემ სახელმწიფო გამომცემლობის რეორგანიზაციის გამო, განათლების კომისარს წარუდგინა მოხსენების ბარათი ქაღალდის საკითხის შესახებ. მოჰყავს რა დაწვრილებით ქაღალდის საკითხის ისტორია თბილისში საბჭოთა ხელის უფლების დამყარების დროის განმავლობაში, მოხსენების ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მთელი წიგნების და საგაზეთო ქაღალდი უნდა იმყოფებოდეს სახელმწიფო გამომცემლობის და მის განყოფილებების (პროვინციაში) განკარგულებაში და ამიტომ წინადადებას იძლევა ცხოვრებაში გატარდეს შემდეგი დებულებანი: 1 წიგნების და გაზეთის მთელი ქაღალდის რაოდენობა, რომელიც ამ ჟამათ იმყოფება ქაღალდის განმანაწილებელ მთავარ სამმართველოს ან და სხვა ორგანიზაციის განკარგულებაში, აგრეთვე მომავალში ნაყიდი ან რ. ს. ფ. ს. რ. შემოსული ქაღალდი უნდა გადაეცეს სახელ. გამომცემლობას და მათი დახარჯვა უნდა ხდებოდეს მხოლოთ სახელმწიფო გამომცემლობის ორგანოთა ნებართვით. 2. ქაღალდის აღრიცხვის, შენახვის და განაწილების მიზნით სახელმწიფო გამომცემლობასთან არსდება საგანგებო ქაღალდის განყოფილება 3. არც ერთი პოლიგრაფიული სახელოსნო არ უნდა მიეცეთ ასაწყობათ სახელმწიფო გამომცემლობის ან და მისი განყოფილებების (პროვინციაში) ნება დაურთველათ.

4. სახელმწიფო გამომცემლობას და მის ადგილობრივ ორგანოებს ეძლევათ უფლება თვალყური ადევნონ მუშაობას სტამბებში, ლიტოგრაფიებში, ცინკოგრაფიებში, დააწესონ რიგი სასწრაფო სამუშაოს მიხედვით ამ დაწესებულებათა შინაურ მართველ-გამგეობების ჩაურევლათ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 70.

საქართველოს სოციალისტური საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა მევენახეობის პროდუქტების ნატურალური გადასახადის შესახებ.

საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის საჭირო პროდუქტების შესაკრებად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს ღვინის ნატურალური გადასახადი.

2 ღვინის გადასახადის საერთო წლიური ჯამი განისაზღვროს ხუთას ათას (500.000) ვედროდ.

3. მევენახეობის თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობა უნდა განისაზღვროს ვენახის სივრცისა და იმ ადგილის მოსავლის მიხედვით.

ამისათვის უნდა დაწესდეს მეურნეობის ათი ჯგუფი ვენახის სივრცის მიხედვით და ათი კატეგორია მოსავლის მიხედვით.

4. გადასახადის განაკვეთი დაწესებულ უნდა იქნეს შემდეგი რაოდენობით:

ღვინის გადასახადი (ვედროებით) მეურნეობაზე.

	როდესაც ღვინის მოსავალი ერთ დესეტინაზე ვედრობით იქნება.									
უკეთუ მეურნეობაში ვენახის სივრცე დესეტინობით არის	100—დე	101—125	126—150	151—175	176—200	201—225	226—250	251—300	301—350	351 და მეტიც
ერთი მერვ. ამრიცხვითურთ	—	—	—	1	2	2	3	3	4	5
ერთი მერვ.—ერთი მეოთხ. „	—	—	2	3	4	4	5	5	6	7
ერთი მეოთხ.—სამი მერვ. „	3	3	4	5	5	6	7	8	9	11
სამი მერვ.—ერთი ნახ. „	4	4	5	6	7	8	9	11	12	14
ერთი მეორ.—ხუთი მერვ. „	4	5	7	8	9	10	11	13	16	18
ხუთი მერვ.—1 „	7	9	11	12	14	16	18	21	25	28
1—2 „	12	16	19	21	24	28	31	37	42	50
2—3 „	23	28	34	39	45	51	56	68	79	90
3—5 „	51	64	77	89	102	115	128	153	179	204
5 მეტი „	75	94	113	132	150	169	188	255	262	300

5. სასურსათო-სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით,—იმ სოფლებში, რომლებიც მეღვინეობის წარმოებას აკრავს,—გადასახადი, ღვინის მაგიერ, ყურძნად აიღოს ერთ ვედრო ღვინოში ერთი ფუთი ყურძენი.

6. სხვა რაიონებისათვის სასურსათო სახალხო კომისარიატს ნება ეძლევა,—გადასახადის გამღებთა თანხმობით,—შესცვალოს ღვინო სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქტით,—სპეციალურად შემუშავებული განაკვეთების მიხედვით.

7. როდესაც გამორკვეული იქნება ნამდვილად პირი ყურძნის მოსავლისა,—სასურსათო სახალხო კომისარიატი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატსა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად,—დააწესებენ რესპუბლიკის თვითეული რაიონისათვის სათანადო კატეგორიის მოსავლის მიხედვით,—ზემოაღნიშნული ცხრილის თანახმად.

8. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის გადასახადს დააწესებს ნატურალური გადასახადის სამაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

9. ღვინის გადასახადის ჩაბარების ვადას აწესებს სასურსათო სახალხო კომისარიატი; ამასთანავე, ჩაბარება დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1921 წლის დეკემბრის 1-სა. ხოლო ღვინის გადასახადის გამღებნი გადასახადის ჩაბარებას უნდა შეუდგნენ მოსავლის დაბინავებისათანავე—დაუყოვნებლივ.

შენიშვნა: გადამხდელთაგან შემოტანილი პროდუქტები უნდა იყოს ყოვლად კარგის თვისებისა.

10. გადასახადის გამღებნი მოვალენი არიან მათი ხვედრი გადასახადი ყურძნად, ღვინოდ და სხვა პროდუქტებად—მიიტანონ თავიანთივე საშუალებით დაწესებულ მიმღებ პუნქტებში,—საბჭოთა მეურნეობასა, დამმზადებელ კონტორასა, კოოპერატივის საწყობში და სხვ.

11. მეურნეობა სივრცით ერთი მეხუთედი დესეტინაზე მცირე, როდესაც ერთ დესეტინის ღვინის მოსავალი 150 ვედროზე ნაკლები იქნება,—ხოლო მეურნეობა ერთი მეოთხედ დესეტინამდე, როდესაც ერთი დესეტინის მოსავალი 125 ვედროზე ნაკლები იქნება,—გადასახადისაგან უნდა განთავისუფლდეს.

12. ამ დეკრეტის ასრულება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

13. ის მოქალაქე, რომელიც არ გაისტუმრებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის, ვინც წარმოადგენს ყალბ ცნობას გადასახადის თაობაზე მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიულის წესით.

14. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი**
სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ა. ერქომაიშვილი**
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე**
1921 წ. სექტემბრის 7 ტფილისი-სასახლე.

დეკრეტი № 71.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტისა კარტოფილისა და ბოსტნეულობის ნატურალურ გადასახადის შესახებ.

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოს რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს: შემოღებულ იქმნას კარტოფილის და მებოსტნეობის პროდუქტების ნატურალური სასურსათო გადასახადი.

2. კარტოფილის გადასახადი უნდა დაედოს ყოველ იმ მეურნეობას, რომელსაც კარტოფილი მოჰყავს.

3. კარტოფილის გადასახადის რაოდენობა აღირიცხება მეურნეობაში კარტოფილის ნათესის სივრცისა და იმ ადგილის მოსავლის მიხედვით, ამისათვის უნდა დაწესდეს მოსავლის ოთხი კატეგორია.

4. კარტოფილის გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს ერთი დესეტინა ნათესი კარტოფილისათვის შემდეგი რაოდენობით:

როდესაც მოსავალი ერთი დესეტინისა არის:

300-დე	25	ფუთი
301—400	35	„
401—500	45	„
500 და მეტიც	60	„

5. სასურსათო სახალხო კომისარიატს უფლება ეძლევა ამა თუ იმ ადგილას ნება დართოს,—კარტოფილის მაგიერ, გადასახადი გაიღონ ბოსტნეულით, ფესვ-ნაყოფი ჯიშის პროდუქტით, პურეულით და მარცვლეულით (კრუპა) შემდეგი შეფარდებით:

ერთი ფუთი კარტოფილის ნაცვლად შეიტანება ერთ-ერთი ქვემოდ ჩამოთვლილი პროდუქტთაგანი შემდეგი რაოდენობით:

ხახვი	7 ნახ. გ.
ნიორი	6 „ გ.
კომბოსტო	1 ფ. 13 ნახ. გ.
გოგრა	47-ნახ. გ.
ჭარხალი (საჭმელი)	15 გირ.
ხორბალი	10 გირ.
სიმინდი	20 გირ.
ქერი ან შვრია	12-ნახ. გ.
ღომი ან ფეტვი	12-ნახ. გ.
ლობიო	6 გ.

6. როდესაც გამორკვეული იქნება ნამდვილად პირი კარტოფილის მოსავლისა, სასურსათო სახალხო კომისარიატი,—მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატისა და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად,—დააწესებენ რესპუბლიკის თვითეული რაიონისათვის სათანადო კატეგორიის მოსავლის მიხედვით, ზემოაღნიშნული ცხრილის თანახმად.

7. საბოსტნეულო გადასახადი უნდა დაედოს საბოსტნე და საბახჩო მეურნეობას—ადგილმდებარეობის მიუხედავად, ე. ი. სოფლად, ქალაქად და სხვა.

8. საბოსტნეულო გადასახადის რაოდენობა აღირიცხება მეურნეობაში ნათესი ბოსტნეულის სივრცის მიხედვით; ამისათვის უნდა დაწესდეს მეურნეობის ხუთი ჯგუფი მათი სივრცისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

9. საბოსტნეულო გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს ერთი დესეტინისათვის ყოველგვარი ბოსტნეულის კომბოსტოსთან შეფარდებით, შემდეგი რაოდენობით:

	მეურნეობათა ჯგუფები:	გადასახადის განაკვეთი ერთი დესეტინა კომბოსტოსათვის ფუთობით.
I.	სოფლად მდებარე მეურნეობა სივრცით მერვედი დესეტინაზე მეტი და ერთი-მეოთხედი დესეტინამდე—ამ რიცხვითურთ .	40
II.	სოფლად მდებარე მეურნეობა სივრცით ერთი მეოთხედი დესეტინაზე მეტი და ნახევ დესეტინამდე—ამ რიცხვითურთ	60
III.	სოფლად მდებარე მეურნეობა სივრცით ნახევარი დესეტინაზე მეტი	90
IV.	ქალაქის მიდამოსა და ქალაქში მდებარე მეურნეობა სივრცით ერთი მერვედი დეს-ნაზე მეტი და ნახევარი დესეტინამდე ამ რიცხვითურთ	80
V.	ქალაქის მიდამოსა და ქალაქში მდებარე მეურნეობა სივრცით ნახევარი დესეტინაზე მეტი.	120

10. მეურნეობა სივრცით ერთი მერვედი დესეტინამდე ამ რიცხვითურთ—გადასახადისაგან განთავისუფლებულ უნდა იქმნეს.

11. სასურსათო სახალხო კომ. სარიატს უფლება ეძლევა ამა თუ იმ ადგილას ნება დართოს ბოსტნეულის გადასახადის გამღებთ—ჩააბარონ იგი, კომბოსტოს მაგიერ, სხვა ბოსტნეულით და ფესვ-ნაყოფთა ჯიშის პროდუქტით შემდეგი შეფარდებით:

ერთი ფუთი კომბოსტოს ნაცვლად შეიტანება ერთ-ერთი ქვემოდ ჩამოთვლილი პროდუქტი შემდეგი რაოდენობით:

ჭარხალი (საჭმელი)	20 გ.
კარტოფილი	30 „
ლობიო	8 „
ხახვი	10 „
გოგრა	50 „
ნიორი	8 „

12. სასურსათო სახალხო კომისარიატს—ნება ეძლევა განსაზღვრული ცალკე ადგილებისათვის სავალდებულოდ დააწესოს საბოსტნეულო გადასახადის ჩაბარება ამა თუ იმ ბოსტნეულით და ფესვ-ნაყოფ ჯიშის პროდუქტით წინა მუხლში აღნიშნული შეფარდებით.

13 რათა თვითეული მეურნეობისათვის დაწესებულ იქნას ცალკე კარტოფილისა და ცალკე საბოსტნეულო გადასახადი, დესეტინობით განაკვეთი გადიდებულ ან შემცირებულ უნდა იქმნეს იმდენჯერ, რამდენ დესეტინასაც ან არა-სრულის დესეტინის რამდენ ნაწილსაც შეიცავს გადასახადდასადები სივრცე მეურნეობისა.

14. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის კარტოფილისა და საბოსტნეულო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს ნატურალური გადასახადის სამაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

15. გადასახადის გამღებნი ვალდებულნი არიან ჩააბარონ ბოსტნეული და კარტოფილი მოსავლის ერთობლივ დაბინავებისამებრ.

საბოლოო ვადას გადასახადის ჩასაბარებლად გადასწყვეტს ხოლმე სასურსათო სახალხო კომისარიატი, მაგრამ არა-უგვიანეს 1921 წ. დეკემბრის 1-სა.

16. გადამხდელთაგან შემოტანილი პროდუქტი უნდა იყოს კარგი თვისებისა და მათივე საშუალებით უნდა იქმნეს მიტანილი დაწესებულ მიმღებ პუნქტში—დამმზადებელ კანტორასა, კოოპერატივის საწყობსა და სხ.

17. ამ დეკრეტის ასრულება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს ხოლმე საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

18. ის მოქალაქე, რომელიც არ გაისტუმრებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის, ვინც წარმოადგენს ყალბ ცნობას ამ გადასახადის თაობაზე, მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიულის წესით.

19. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტ. თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**
სასურსათო სახალხო კომისარის მოადგ. **ა. ერქომაიშვილი.**
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**
1921 წ. სექტემბრის 7.
ტფილისი—სასახლე.

დეკრეტი № 73

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა. ხორცის ნატურალური გადასახადის შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს: შემოღებულ იქნეს 1921 წლისათვის ხორცის ნატურალური სასურსათო გადასახადი.

2. ხორცის ნატურალური გადასახადი უნდა გაიღოს ყველამ, ვისაც ჰყავს სხვადასხვა საქონელი და ღორი იმისდა მიუხედავად, თუ სად იმყოფება იგი ე. ი. სოფლად თუ ქალაქად.

3. გადასახადის ასაკრეფად უნდა დაწესდეს შვიდი კატეგორია, პირუტყვის სახისა და წონის მიხედვით.

4. გადასახადის განაკვეთი უნდა დაწესდეს თვითეულ თავ ცხოველზე-ხორცთან შეფარდებით—შემდეგი რაოდენობით:

კ ა ტ ე გ ო რ ი ა.	გადასახ. განაკ. თვითეულ თავზე ხორ. გირ.
1. ხარი და ძროხა დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრაში	2 (ორი).
2. ხარი და ძროხა თიანეთისა, დუშეთისა და გორის მაზრებში	3 (სამი).
3. ხარი და ძროხა ტფილისისა, თელავისა, სიღნაღისა და ახალციხის მაზრებში . . .	4 (ოთხი).
4. ხარი და ძროხა ახალქალაქის მაზრაში და ძროხები ადგილობრივი ჯიშისა ბორჩალოს მაზრაში	5 (ხუთი)
5. ხარი და ძროხა გაუმჯობესებული ჯიშისა ბორჩალოს მაზრაში	6 (ექვსი)
6. ხარ-კამეჩი და ფურ-კამეჩი რესპუბლიკის ყოველ მაზრაში	4 ოთხნახევარი.
7. ღორი რესპუბლიკის ყოველ მაზრაში .	2 და სამი-მეოთხედი.

შენიშვნა: თვითეული მეურნეობისათვის გადასახადის საერთო ჯამის გამოსაანგარიშებლად,—თითო სულზე განსაზღვრული განაკვეთი—გამრავლებულ უნდა იქნეს იმდენჯერ, რამდენიც ამ მეურნეობაში თავი საქონელია.

5. ნორჩი სხვილფეხა საქონელი ორის წლისაზე არა უხნესი, ხოლო ღორი ერთის წლისაზე არა უხნესი, აგრეთვე ერთად ერთი ძროხა და დედა-ღორი მეურნეობაში—გადასახადის გაწერის დროს სათვალავში არ მიიღება და გადასახადი არ დაედება.

6. გადასახადის ჩაბარება ცოცხალი პირუტყვით უნდა მოხდეს.

გადასახადის განაკვეთი ცოცხალი საქონლის წონასთან შეფარდების წესს შეიმუშავებს სასურსათო სახალხო კომისარიატი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად.

გადასახადის ანგარიშში არ მიიღება:

ა. ყოველი სახის პირუტყვი მაკეობის მეორე პერიოდში.

ბ. კურო მოზვერი სანაშენო (ბუღა) ხურამის ხნისა და სარემონტო უმცროსი ხნისა.

გ. მუშა ხარი და კამეჩი და სარემონტო უმცროსი ხნისა.

დ. ნორჩი სხვილფეხა საქონელი და კამეჩი ორის წლისაზე არა უხნესი, აგრეთვე ღორი ერთის წლისაზე არა უხნესი.

ე. ძუძუ-მწოვარა საქონელი იმ დრომდე, ვიდრე სახორცედ არ ივარგებს ქალაქად და სამრეწველო ცენტრებში.

7. ხორცის გადასახადის გამღებთ უფლება აქვთ, თავისი სურვილისამებრ, გადასახადის ჩაბარების დროს, ხარისა და ძროხის მაგიერ, ჩააბარონ კამეჩი, ღორი, ცხვარი და რძის პროდუქტები შემდეგი საფუძვლით:

	ღორისა ან ცხვრ. წონ	კამეჩის წონა	ძროხის ერბო	[illegible] ნაღები ჰოლანდიელი ყველი
ერთი ფუთის წონა ხარისა და ძროხისა უდრის	30 გირ.	53 გირ.	13 ნახ. გ.	26 გირვ.

8. ხორცის გადასახადის გასასტუმრებლად ცალკე გადამხდელნი შეერთდებიან ჯგუფებად, ერთმანეთთან შეთანხმებით, იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ ვისი საქონლით გასტუმრებულ იქნეს გადასახადი; აგრეთვე, იმ წესისა და საშუალების განსაზღვრისათვის, თუ როგორ დააკმაყოფილონ ცალკე გადამხდელებმა ის მეურნეობა, რომლის საქონელიც ჩაბარდა სახელმწიფოს.

გადასახადად ჩაბარებული საქონლის ღირებულობის ანაზღაურება სავალდებულოა.

უკეთუ ვინმე ცალკე გადამხდელთაგანი თავს გაარიდებს მისთვის სავალდებულო—ჩაბარებული საქონლის პატრონისათვის ღირებულების ანაზღაურებისაგან, — პასუხისგებაში იქნება მიცემული ადმინისტრატიულის წესით, როგორც გადასახადისაგან გამრიდე პირი.

უკეთუ ცალკე გადამხდელთა შორის არ მოხდება შეთანხმება, ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტი, არსებული წესის მიხედვით, დაადგენს გადამხდელთა შორის რომელს უნდა ჩამოერთვას საქონელი გადასახადის გასასტუმრებლად და აგრეთვე რა ხერხითა და წესით უნდა გადაუნაწილონ დანარჩენმა გადამხდელებმა მას ჩამორთმეული საქონლის ღირებულება.

9. თვითეული ცალკე მეურნეობისათვის გადასახადის რაოდენობას აწესებს ნატურალური გადასახადის სამაზრო კომისია, რომელიც გათვალისწინებულია პურის ნატურალური გადასახადის დეკრეტით.

10. გადასახადის აკრეფა უნდა მოხდეს იმ ვადაზე, რომელსაც დაადგენს სასურსათო სახალხო კომისარიატი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

11. გადამხდელთაგან მიღებული საქონელი უნდა იყოს ჯანსაღი და საშუალოზე არა ნაკლებ ნაპატივი, ხოლო რძის პროდუქტი კარგის თვისებისა.

გადასახადად ჩასაბარებელი საქონელი და რძის პროდუქტები მიყვანილ და მიტანილ უნდა იქნეს გადამხდელთავე საშუალებით დაწესებულ მიმღებ ადგილებში—დამამზადებელ კონტორებსა, კოოპერატივის საწყობში და სხვ.

12. ამ დეკრეტის ასრულება დაევალება სასურსათო სახალხო კომისარიატს, რომელსაც უფლება ეძლევა გამოსცეს საჭირო დადგენილებანი, განმარტებანი და ინსტრუქციები.

13. ის მოქალაქე, რომელიც არ გაიღებს გადასახადს დაწესებულ ვადაზე, აგრეთვე ის, ვინც წარმოადგენს ყალბ ცნობას ხორცის გადასახადის თაობაზე, მიეცემა პირად და ქონებრივ პასუხისგებაში ადმინისტრატიულის წესით.

15. დეკრეტი ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი**
სასურსათო სახალხო კომისრის მოადგილე **ა. ერქომაიშვილი**
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**
1921 წ. სექტემბრის 7
ტფილისი სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩუბინაშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.
— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52
— მე 5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საქ. კომპარტიის თ. სამ. კომიტეტი მწუხარებით აუწყებს პარტიის ყველა წევრებს თ. ხ. კ. წევრის და ამავე მაზრის რევკომის თავმჯდომარის ამხანაგ

ილიკო მგელაძის

უდროვოთ გარდაცვალებას. გამოსვენება 11 საათზე, დღეს 11 სექტემბერს, სერგიევის ქუჩიდან № 18, დაკრძალვა მოხდება დიდუბის სასაფლაოზე.

ტფილისის მაზრის რევკომის პრეზიდიუმი აუწყებს ყველა ამხანაგებს და თანამშრომელთ, რომ ამა წლის 6 ენკენისთვეს საღამოს გარდაიცვალა რევკომის თავმჯდომარე

ილია მგელაძე

დასაფლავება დიდუბის სასაფლაოზე, დღეს 11 სექტემბერს გამოსვენება საკუთარი ბინიდან, დილის 11 საათზე, სერგიევის ქ. № 18.

ტფილისის მაზრის რევკომის მუშა მოსამსახურენი აუწყებენ ყველა ამხანაგებს, რომ ამა წლის 6 ენკენისთვეს, საღამოს გარდაიცვალა რევკომის თავმჯდომარე

ილია მგელაძე

დასაფლავება დიდუბის სასაფლაოზე დღეს, 11 სექტემბერს, გამოსვენება საკუთარ ბინიდან დილის 11 ს, სერგიევის ქ. სახლი № 18.

დაობლებულნი ნინო, ლიზა და ასიკო აუწყებენ ამხანაგებს და ნათესავს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 ენკენისთვეს საღამოს გარდაიცვალა დაუვიწყარი პირველის ქმარი, [illegible] საყვარელი მამა

ილია მგელაძე

დასაფლავება დღეს, 11 ენკენისთვეს დიდუბის სასაფლაოზე, გამოსვენება დღეს, დილით 11 ს. საკუთარ ბინიდან სერგ. ქ. № 18.

პარტიულ ორგან. და წევრების საყურადღებოდ

ცენტრალური კომიტეტი ტანსაცმლით და ფულით დახმარებას არ აწევს. ც. კ. პრეზიდიუმის დადგენილებით აკრძალულია მასთან ასეთი თხოვნით მიმართვა.

ც. კ. მდივანი **მ. ოკუჯავა.**